ხელშეკრულება №03
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

12 იანვარი 2024 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ია ხალვაშის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ალეკო" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორისჯემალ ბოლქვაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის წესის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 10 იანვრის #100 განკარგულების ,,ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება''-ს საჭიროებისათვის რძის პროდუქტების (CPV15500000, 15530000–კარაქი, 15500000–მაწონი, 15511000–რძე, 15541000–სუფრის ყველი, 15542100-ხაჭო, 15500000-არაჟანი, 15551300-იოგურტი) შესყიდვა (შემდგომში „საქონელი") დანართი #1-ის შესაბამისად.

2.2. მოცემული რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო/სავარაუდო რაოდენობას. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი ათვისება დამოკიდებულია საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა ფაქტიურ გამოცხადებაზე, შესაბამისად მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სახელშეკრულებო რაოდენობის სრულად ათვისებაზე.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 123805 (ასოცდასამიათასრვაასხუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში „შემსყიდველი“ ჩაურიცხავს „მიმწოდებელს“ მოწოდებული საქონელის ღირებულებას, რომელიც მოწოდებულ საქონელზე დადგინდება შესაბამისი წესით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტით.
4.3. „შემსყიდველი“ ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მანძილზე ფაქტობრივად მოწოდებული საქონელის რაოდენობის მიხედვით უნაღდო ანგარისწორებით ლარებში.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონელის მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება''-ს ბუღალტერი (გ.ჩანტლაძე).
5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება თვეში ერთხელ (საანგარიშო თვის განმავლობაში), მოწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.4. 5.3 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 5.2 პუნქტში მითითებული პირი.
5.5. მიწოდებული საქონელის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონელის მოწოდება განხორციელდება დანართი 2-ში მითითებულ 29 მისამართებზე.
6.2. საქონელის მოწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 20 თებერვალის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
6.3. საქონელის მიწოდება უნდა განხორციელდეს კვირაში ერთჯერ, საჭიროების შემთხვევაში კვირაში ორჯერ, შემსყიდველის მოთხოვნილებისამებრ. შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიწოდებული მოთხოვნის შესაბამისად.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდებისას გამოვლენილი წუნდებული საქონელის შეცვლა უზრუნველყოს არაუგვიანეს მეორე დღის 9 საათისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
7.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოწოდებული საქონელის ღირებულება.
7.2.3. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
7.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
7.3.2. შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის შესაბამისობა სახელშეკრულებო და სატენდერო მოთხოვნებთან და საქართველოში მოქმედი

კანონმდებლობით გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

7.3.3. ხელი მოაწეროს საქონელის მიღება-ჩაბარების აქტებს;

7.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. განახორციელოს საქონელის მიწოდება სახელშეკრულებო პირობების და თანდართული დანართი 1-ის შესაბამისად განსაზღვრული ხარისხის და მოცულობის.

7.4.2. განახორციელოს გამოვლენილი დეფექტის გამოსწორება ,შემსყიდველი"-ს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, მეორე დღის არაუგვიანეს 9 საათისა.

7.4.3. მოწოდებული რძის პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს ,,რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"–ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის #152 დადგენილების მოთხოვნებს.

7.4.4. მოწოდებული რძის პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ბრძანების ,,სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნებს.

7.4.5. საქონელი დაფასოებული, შეფუთული და ეტიკეტირებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #441 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის ,,სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნის შესახებ" თანახმად. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს დადგენილი ფორმით გათვალისწინებულ მონაცემებს, ის შეფუთულ ერთეულზე მიმაგრებული ან განთავსებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ადვილად არ სცილდებოდეს და დამზადებული იყოს ისეთი მასალისაგან, რომელიც ადვილად არ ზიანდება გარემო ფაქტორების ზემოქმედებით.

7.4.6 რძის პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული მაცივარ– მანქან(ებ)ით (მაცივრიანი სატრანსპორტო საშუალება), სადაც დაცული იქნება შესყიდვის ობიექტის შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო პირობები, ტემპერატურა, ჰიგიენური პირობები და ა.შ

7.4.7. მომწოდებელი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

8.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს, დაწუნებული საქონელის ან/და მისი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"–ს ბუღალტერი (გ.ჩანტლაძე).

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს ვადაგადაცილებული თანხის 0.02%–ი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

9.3.1. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი გადააცილებს საქონელის მოწოდების ვადას (კვირაში ერთჯერ ან ორჯერ შემსყიდველის მოთხოვნილებისამებრ) დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოსაწოდებელი საქონელის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.3.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს (9.3.1. ქვეპუნქტის გარდა), მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.3.4. მიმწოდებელს მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პირველ შემთხვევაში გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, არსებული ხარვეზ(ებ)ის აღმოუფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. ასევე მიმწოდებლის მიერ მითითებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

9.5.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

9.5.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 9.5.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

9.5.3. ხელშეკრულების 9.5.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.6. როგორც შემსყიდველისათვის, ისე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დაჭირდება დასკვნის (ცნობის) გასაცემად.

10. ფორს–მაჟორი

10.1. ფორსმაჟორი – სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ეპიდემია და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

10.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების

პირობების შეუსრულებლობის ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართოს სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,, მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი - ,,შემსყიდველთან".

16. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №99ა;

16.2 „შემსყიდველი"–ს საიდენტიფიკაციო კოდი **446951790;**

16.3 „შემსყიდველი" – ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება".

17. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ხულო, კორტოხი.

17.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE51TB7249136080100010, საიდენტიფიკაციო კოდი 448052909.

17.3 „მიმწოდებელი" – შპს ,,ალეკო"

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"

დირექტორი: **ია ხალვაში**

Ia Khalvashi

Подписано цифровой подписью: Ia Khalvashi
Дата: 2024.01.12 17:06:40 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს ,,ალეკო", დირექტორი: **ჯემალ ბოლქვაძე**

Jemal Bolkvadze 61009000017

Digitally signed by Jemal Bolkvadze
Date: 2024.01.12 17:30:28

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა ან/და მწარმოებელი	განზ.	რაოდენობა	ერთ–ის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1.	რძე	ულტრა პასტელიზებული აღდგენილი რძე, ცხიმის მასიური წილი 2,5%, დამზადებული რძის ნაღებისაგან, მცენარეული ცხიმების გარეშე, დამუშავებული ქარხნული წესით, კონსისტენცია ერთგვაროვანი, ფერი, სუნი და გემო დამახასიათებელი პროდუქტისათვის. მავნე ქიმიური ელემენტების გარეშე, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. მიწოდებული შესყიდვის ობიექტის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა საერთო ვადის არანაკლებ 70%-სა. შენახვის ვადა: არანაკლებ 20 დღისა და არაუმეტეს 6 თვისა. შეფუთვა: ქარხნული წესით შეფუთული და ეტიკეტირებული, არანაკლებ 0,800 ლიტრისა და არაუმეტეს 1 ლიტრიან შეფუთვაში.	საქართველო	ლიტრი	10395	5	51975
2.	ნაღების კარაქი	ნაღების კარაქი, დამზადებული რძის ნაღებისაგან, მცენარეული ცხიმების გარეშე, ქარხნული წესით. ფერი, სუნი და გემო დამახასიათებელი ნაღების კარაქისათვის. მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. მოწოდებული საქონელის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა საერთო ვადს არანაკლებ 70%. 100 გრ. პროდუქტის შემცველობა: ცხიმი-82%, ცილა-არანაკლებ 0,5% არაუმეტეს 0,9%-სა, ნახშირწყლები-არანაკლებ 0,7% არაუმეტეს 1,2%. ენერგეტიკული ღირებულება არანაკლებ 700კკლ	საქართველო	კგ	660	32	21120

		და არაუმეტეს 750კკლ. ვარგისიანობის ვადა 60 დღე 4+-2C და 90 დღე - 18C. შეფუთვა: ქარხნული, სათანადოდ ეტიკეტირებული, 0,2კგ-0,4კგ შეფუთვით. კარაქის ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს წარწერა ,,ნაღების კარაქი".					
3.	ყველი (სუფრის)	დამზადებული ნორმალიზებული ნატურალური რძისაგან. მცენარეული ცხიმების გარეშე, ნაკლებად მარილიანი, წათხის რბილი ყველი. დამზადებული ქარხნული წესით. კონსისტეცია ერთგვაროვანი, დაჭრის დროს არ უნდა იფშვნებოდეს, არადამახასიათებელი სუნისა და გემოს გარეშე. არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიურ ელემენტებს, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. მშრალი ნივთიერების შემცველობა: არანაკლებ 40%-სა. მშრალ ნივთიერებაში ცხიმის შემცველობა: 25-40%–ი. მარილი 0,5-1.5%. თითოეული მოწოდებული საქონელის პარტიის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის 80-85%. შეფუთვა/ტარა: ქარხნული წესით, სათანადოდ ეტიკეტირებული 0,5–2,5 კგ ვაკუუმპაკეტებში ან კონტეინერებში.	საქართველო	კგ	660	19	12540
4.	მაწონი	დამზადებული პასტერიზებული, ნორმალიზებული რძისაგან. დამზადებული ქარხნული წესით. კონსისტენცია ერთგვაროვანი, არ უნდა შეიცავდეს კონსერვატებს და დანამატებს. არადამახასიათებელი სუნის, გემოს და სიმჟავის გარეშე. არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიურ ელემენტებს, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. მცენარეული ცხიმების გარეშე. ცხიმის მასიური წილი 3,2%–ი. თითოეული მოწოდებული საქონელის პარტიის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის 80%. შეფუთვა/ტარა: ქარხნული	საქართველო	კგ	1650	5	8250

		წესით, ჰერმენტულად დახურული სათანადოდ ეტიკეტირებული 400გრ-5კგ პლასტმასის ჭიქებში ან ვედროებში.					
5.	არაჟანი	დამზადებული პასტერიზებული, ნორმალიზებული რძისაგან. მცენარეული ცხიმების გარეშე. 12-15% ცხიმიანობით, კონსისტენცია ერთგვაროვანი, არადამახასიათებელი გემოს, კონსერვანტებისა და ხელოვნული დანამატების გარეშე, უნდა შეიცავდეს მხოლოდ ნატურალურ ინგრედიენტებს და დედოს. არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიურ ელემენტებს, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. თითოეული მოწოდებული საქონელის პარტიის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის 80%. შეფუთვა/ტარა: ქარხნული წესით, სათანადოდ ეტიკეტირებული 400გრ-5კგ პლასტმასის ჭიქებში ან ვედროებში.	საქართველო	კგ	220	11	2420
6.	ხაჭო	დამზადებული პასტერიზებული, ნორმალიზებული რძისაგან. მცენარეული ცხიმების გარეშე. თეთრი-მოყვითალო ფერის. სიმჟავისა და არადამახასიათებელი გემოს, სუნის გარეშე. რძის შემადგენელი კომპონენტის მასიური წილი: არანაკლებ 75%-სა. ცხიმიანობა: 6-9%. კონსისტენცია ერთგვაროვანი. უნდა შეიცავდეს მხოლოდ ნატურალურ ინგრედიენტებს და დედოს. არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიურ ელემენტებს, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. თითოეული მოწოდებული საქონელის პარტიის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის 80%. შეფუთვა/ტარა: ქარხნული წესით, სათანადოდ ეტიკეტირებული 400გრ-5კგ პლასტმასის ჭიქებში ან ვედროებში.	საქართველო	კგ	440	12.5	5500

7.	იოგურტი	ქარხნული წარმოების, უნდა იყოს დამზადებული პასტერიზებული/ნორმალიზებული/მშრალი რძისგან, სხვადასხვა ხილის არომატით, არადამახასიათებელი სუნის, ფერის, გემოს და სიმჟავის გარეშე. ცხიმინობა 2-5%. არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიურ ელემენტებს, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. თითოეული მოწოდებული საქონელის პარტიის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის 80%. შეფუთვა/ტარა: ქარხნული წესით, სათანადოდ ეტიკეტირებული, არანაკლებ 90გრ არაუმეტეს 115 გრ შეფუთვაში.	რუსეთი	ცალი	11000	2,00	22000
	ჯამი:						123805

მიმწოდებელი: შპს „ალეკო“, დირექტორი: ჯემალ ბოლქვაძე

Jemal Bolkvadze 61009000017
Digitally signed by Jemal Bolkvadze
Date: 2024.01.12 17:32:27

დანართი N 2

მისამართები

N	ს/ზაღის დასახელება	მისამართი
1	ქ.ქობულეთის N1 ს/ზაღი	ქ.ქობულეთი,9 აპრილის ქუჩა #26
2	ქ.ქობულეთის N2 ს/ზაღი	ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქ. N 162
3	ქ.ქობულეთის N3 ს/ზაღი	ქ.ქობულეთი, მ.აბაშიძის ქ.N 6
4	ქ.ქობულეთის N 4 ს/ზაღი	ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქ. N 154
5	ქ.ქობულეთის N 5 ს/ზაღი	ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქ. მე-2 შესახვევი
6	ქ.ქობულეთის N 6 ს/ზაღი	ქ.ქობულეთი,გელაურის დასახლება. კაიკაციშვილის ქ.
7	ქ.ქობულეთის N 7 ს/ზაღი	ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქ. N 262
8	დაბა ჩაქვის #1 ს/ზაღი	დაბა ჩაქვი. მეგენეიშვილის ქ.N 17
9	დაბა ჩაქვის #2 ს/ზაღი	დაბა ჩაქვი. აღმაშენებლის ქ.N 28
10	სოფ.ჩაისუბანი ს/ზაღი	სოფ.ჩაისუბანი
11	სოფ.საჩინო ს/ზაღი	სოფ.საჩინოს ადმინ. ცენტრი
12	სოფ.ხალა ს/ზაღი	სოფ.ხალა ადმინ.ცენტრი
13	სოფ.ციხისძირი ს/ზაღი	სოფ.ციხისძირი ადმინ.ცენტრი
14	სოფ.ხუცუბანის ს/ზაღი	სოფ.ხუცუბანის ადმინ.ცენტრი
15	სოფ.ქობულეთის ს/ზაღი	სოფ.ქობულეთის ადმინ.ცენტრი
16	სოფ.ქაქუთის ს/ზაღი	სოფ.ქაქუთის ადმინ ცენტრი
17	სოფ. ლეღვას ს/ზაღი	სოფ. ლეღვას ადმინ.ცენტრი
18	სოფ. მუხაესტატეს ს/ზაღი	სოფ. მუხაესტატეს ადმინ.ცენტრი
19	სოფ.აჭყვისთავის ს/ზაღი	სოფ.აჭყვისთავი
20	სოფ.ზენითის ს/ზაღი	სოფ.ზენითი
21	სოფ.ალამბარის ს/ზაღი	სოფ.ალამბარის საჯარო სკოლის შენობა
22	სოფ.გვარა ს/ზაღი	სოფ.გვარა
23	დაბა ოჩხამურის ს/ზაღი	დაბა ოჩხამურის ადმინ.ცენტრი
24	სოფ.ცეცხლაურის ს/ზაღი	სოფ.ცეცხლაურის ადმინ.ცენტრი
25	სოფ.ბობოყვათის ს/ზაღი	სოფ.ბობოყვათის ადმინ.ცენტრი
26	სოფ.დაგვას ს/ზაღი	სოფ.დაგვას ადმინ.ცენტრი
27	სოფ.კვირიკეს ს/ზაღი	სოფ.კვირიკე
28	სოფ.ქვედა კვირიკეს ს/ზაღი	სოფ.ქვედა კვირიკე
29	სოფ.წყავროკას ს/ზაღი	სოფ.წყავროკა

მიმწოდებელი: შპს ,ალეკო"

Jemal Bolkvadze 61009000017

Digitally signed by Jemal Bolkvadze
Date: 2024.01.12 17:34:04

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 გრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–8 მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებთ რომ რძის პროდუქტების (კოდი 15500000) შესყიდვის განხორციელებაში შპს ,,ალეკო“–ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“–ს

დირექტორი Ia Khalvashi Подписано цифровой подписью: Ia Khalvashi Дата: 2024.01.12 17:05:53 +04'00' ია ხალვაში

კონტროლის განმახორციელებელი და მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირი

ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“–ს

ბუღალტერი Gvantsa Chantladze Подписано цифровой подписью: Gvantsa Chantladze Дата: 2024.01.12 17:04:57 +04'00' გვანცა ჩანტლაძე

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080126337305424

№ 100

10 / იანვარი / 2024 წ.

ააიპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 5 იანვარს (18:07 სთ, 18:19 სთ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ააიპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ SMP240000021 და SMP240000023 მომართვები გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს საკვები პროდუქტების შესყიდვას (CPV - 15100000 - ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები; 15500000 - რძის პროდუქტები), ჯამური ღირებულებით 231495.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ააიპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ აღსაზრდელთა კვებით უზრუნველსაყოფად ესაჭიროება საკვები პროდუქტები. აღნიშნული საქონლის შესყიდვის მიზნით, გაერთიანების მიერ გამოცხადებული NAT230025108 და NAT230025109 ელექტრონული ტენდერების სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. საგულისხმოა, რომ საკვები პროდუქტების შესყიდვის დაუყოვნებლივ განუხორციელებლობის შემთხვევაში შეფერხდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის საქონლის შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვებზე, შეაფასა მათში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვებიდან ირკვევა, ააიპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ აღსაზრდელთა კვებით უზრუნველსაყოფად ესაჭიროება საკვები პროდუქტები. აღნიშნული საქონლის შესყიდვის მიზნით, გაერთიანების მიერ გამოცხადებული NAT230025108 და NAT230025109 ელექტრონული ტენდერების სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. საგულისხმოა, რომ საკვები პროდუქტების შესყიდვის დაუყოვნებლივ განუხორციელებლობის შემთხვევაში შეფერხდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის საქონლის შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

ამასთან, სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ააიპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ SMP240000021 და SMP240000023 მომართვები და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე